ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11926222001**

თარიღი:**10/08/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2026 წლის 17 აგვისტოს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი